ოქმი N3

ხობის მუნიციპალიტეტის მეოთხე მოწვევის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის სხდომისა

(სხდომა ჩატარდა საფინანსო-საბიუჯეტო და ქონების მართვისა და ინფრასტუქტურის კომისიებთან ერთად)

ქ. ხობი

2019 წლის 15 მარტი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

1. დავით ბერაია
2. მერაბ ფილიპია
3. დიტო ხასია
4. კობა გოქაძე
5. აკაკი ხურცილავა
6. გია წულაია
7. გოჩა ჯობავა
8. ლაშა ცატავა

სხდომას ასევე ესწრებოდნენ: ე. ჯობავა - საკრებულოს თავმჯდომარე, მ. ქარდავა - საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, ვ. გაბედავა - ხობის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე, მ. ჩოკორაია - მერის მოადგილე, საფინანსო-საბიუჯეტო და ქონების მართვისა და ინფრასტუქტურის კომისიების წევრები, საკრებულოსა და მერიის საჯარო მოხელეები.

სხდომას თავმჯდომარეობდა დ. ბერაია - კომისიის თავმჯდომარე

დღის წესრიგი:

1. „ხობის მუნიციპალიტეტის 2016-2017 წლების ბიუჯეტებით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის აუდიტის ანგარიშის შესახებ.

(მომხსენებელი: ტ. ალექსანდრია - საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე)

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8

წინააღმდეგი - არც ერთი

დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით.

დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხის განხილვა

1. „ხობის მუნიციპალიტეტის 2016-2017 წლების ბიუჯეტებით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის აუდიტის ანგარიშის შესახებ.

(მომხსენებელი: ტ. ალექსანდრია - საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ ჩატარდა ხობის მუნიციპალიტეტის 2016-2017 წლების ბიუჯეტებით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის აუდიტი (ოქმს თან ერთვის). აუდიტის შედეგად გამოვლენილ იქნა დარღვევა-ნაკლოვანებები, რის საპასუხოდ აუდიტის სახელმწიფო სამსახურმა გასცა შესაბამისი რეკომენდაციები.

მომხსენებელმა ყურადღება გაამახვილა დასკვნაში მითითებულ დარღვევებზე და მერიის წარმომადგენლებს მიმართა, განემარტათ, თუ რა ღონისძიებებს ატარებს მერია დარღვევა-ნაკლოვანებების აღმოფხვრის მიზნით.

საკრებულოს თავმჯდომარემ ე. ჯობავამ აღნიშნა, რომ მერიის შესაბამისმა სამსახურებმა განსაკუთრებულ კონტროლზე უნდა აიყვანონ აუდიტის დასკვნაში მითითებული ნაკლოვანებების აღმოფხვრის საკითხები და რეკომენდაციების შესრულება.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ მ. ქარდავამ აღნიშნა, რომ აუდიტის დასკვნაში მითითებულია, რომ წინა აუდიტის დროს (2012-2014წწ.) გაცემული რეკომენდაციების შესახებ, რომლებზეც ხობის მუნიციპალიტეტმა არ მოახდინა ან განმეორებით დაუშვა ზოგიერთი დარღვევა.

მერის პირველი მოადგილის ვ. გაბედავას ინფორმაციით, მერიის სამსახურების მიერ ხორციელდება გარკვეული სამუშაოები აუდიტის სამსახურის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების მიზნით. შედგენილია აუდიტის რეკომენდაციების შესრულების სამოქმედო გეგმა. წერილობით იქნა გაფრთხილებული იმ სამუშაოების შემსრულებლები, რომელთა მიერ შესრულებული სამუშაოები დათვალიერებულ იქნა აუდიტის მიერ და გამოვლინდა ხარვეზები. მათ განემარტა, რომ ევალებათ საკუთარი ხარჯებით უზრუნველყონ ექსპლუატაციის პროცესში წარმოქმნილი ხარვეზების აღმოფხვრა.

კომისიის თავმჯდომარის დ. ბერაიას მიერ აღინიშნა დასკვნაში მითითებული ის გარემოებები, რომლებიც ეხება ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო სანქციის დაკისრებას და ობიექტის დასრულების ვადების დაუსაბუთებლად გაზრდას, რაზედაც მერიის წარმომადგენლების მხრიდან განიმარტა, რომ შესაბამისი სამსახურები ახდენენ რეაგირებას, ხდება შემსრულებლების გაფრთხილება და ჯარიმების დაკისრება, გადაუხდელობის შემთხვევაში საქმის სასამართლოში წარმართვა.

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ტ. ალექსანდრია შემოვიდა წინადადებით, რომ მიზანშეწონილია ხობის მუნიციპალიტეტის მერიამ, მერიის სტრუქტურულმა ერთეულებმა სათანადო შეფასება მისცენ ფინანსური ანგარიშგების, ფინანსური აუდიტისა და საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის შესაბამისობის აუდიტის დასკვნებში მითითებულ დარღვევებს, მიზნად დაისახონ აღნიშნული და მსგავსი ხასიათის დარღვევების თავიდან აცილება, გაითვალისწინონ სახელმწიფო აუდიტის მიერ გაცემული რეკომენდაციები და საქმიანობა წარმართონ კანონმდებლობის შესაბამისად. ასევე მიზანშეწონილია მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესაბამისმა კომისიებმა განახორციელონ კონტროლი მერიის მხრიდან აუდიტის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულებაზე საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" შესაბამისად.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრების მხრიდან შენიშვნები არ ყოფილა.
კენჭი ეყარა წარმოდგენილ წინადადებას.
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 8
წინააღმდეგი - არც ერთი

დაადგინეს: იურიდიულ საკითხთა კომისიამ მიღებული რეკომენდაციის შესაბამისად, უზრუნველყოს მონიტორინგის განხორციელება მუნიციპალიტეტის მერიის მხრიდან სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ გაცემული რეკომენდაციების უმოკლეს ვადაში შესრულებაზე.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე დავით ბერაია